SAPPORO'72



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 34 (4544)

1972 წ. 17 თებერვალი, ხუთშაბათი.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



## საპოროს გმირები



გუშინწინ იაპონიიდან სამშობლოში დაბრუნდა XI თეთრი ოლიმპიადის მონაწილე საბჭოთა სპორტსმენების ერთი ჯგუფი. შერემეტიევოს აეროპორტში გამარჯვებულ ოლიმპიელებს დიდძალი ხალხი დახვდა. გაიმართა სახელდახელო მიტინგი — მოსკოველები გულთბილად ულოცავდნენ ოლიმპიელებს გამარჯვებით დაბრუნებას და ახალ-ახალ წარმატებებს უსურვებდნენ შრომაში, სპორტში, პირად ცხოვრებაში...

სსრ კავშირის ოლიმპიელებმა საპოროში მართლაც დიდებულად იასპარეზეს: არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში 120 ქულა დააგროვეს, რაც 37 ქულით მეტია II ადგილზე გასული გდრ-ის ნაკრების ქულათა ჯამზე. ოქროს 8, ვერცხლის 5, ბრინჯაოს 3 მედალი — ასეთია საბჭოთა ოლიმპიელების მონაპოვარი. გარდა ამისა, მათ ოთხ-ოთხი IV და V და შვიდი VI ადგილი დაიკავეს.

ზედა სურათზე აღბეჭდილია სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრები, რომელმაც საპოროში მეოთხედ მოიხვეჭა ოლიმპიური ჩემპიონის სახელი. დგანან (მარცხნიდან): უფროსი მწვრთნელი ა. ჩერნიშოვი, მასაჟისტი გ. ოვსეენკო, ვ. ხარლამოვი, ი. რომიშევსკი, ა. იაკუშევი, ვ. ვასილიევი, ვ. პეტროვი, ა. რაგულინი, ვ. კუზკინი, გ. ციგანკოვი, ვ. ლუტჩენკო, ა. ფირსოვი, ექიმი ო. ბელაკოვსკი, ვ. ვიკულოვი, მწვრთნელი ა. ტარასოვი; სხედან: ე. მიშაკოვი, ვ. დავიდოვი, ვ. შადრინი, ე. ზიმინი, ბ. მიხაილოვი, ი. ბლინოვი, ა. მალცევი; წვანან: ა. პაშკოვი, ვ. ტრეტიაკი.

იჟევსკელი მოთხილამურე გალინა კულაკოვა, რომელსაც მარცხენა სურათზე ხედავთ, ერთადერთი სპორტსმენია, ვინც საპოროში სამი ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა. იგი მთელი თავით მაღლა იდგა მეტოქეებზე და დამსახურებულად მოიხვეჭა მსოფლიოში ყველაზე სწრაფი მოთხილამურე ქალის სახელი.

მარჯვენა სურათზე თქვენ ხედავთ მოსკოველ მოთხილამურე ვიაჩესლავ ვედენინს, რომელმაც აგრეთვე დიდი წვლილი შეიტანა საბჭოთა ოლიმპიური გუნდის წარმატებაში. მან ოლიმპიური ასპარეზობის პირველივე სახეობაში — 30 კილომეტრზე რბოლაში მოიგო ოქრო და ამ უმაღლეს მიზანს ოლიმპიადის დასკვნით სახეობაში — 4×10 კილომეტრზე ესტაფეტაშიც მიაღწია, თანაც, ბოლო ეტაპზე მოასპარეზე ვედენინმა წარმოუდგენელი ნებისყოფა და გამარჯვებისკენ დაუცხრომელი ლტოლვა გამოავლინა: წუთზე მეტით დაწინაურებულ ნორვეგიელ ი. ჰარვიკენს აჯობა. გარდა ამისა, ვედენინმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა 50 კილომეტრზე რბენაში.

დ. დონსკოისა (ახალი ამბების სააგენტო) და საკდესის ფოტოები.

## სტუდენტურ არდადეგებზე თოვლის სამყაროში

ამ ზამთარს თოვლი საქართველოში ყველგან უხვად მოვიდა, მაგრამ ბაკურიანი მაინც ბაკურიანად დარჩა. მისი ხიმშვენიერით ვინც ერთხელ დამტკბარა, ძნელად თუ დათმობს. ახე გასინჯეთ, ჩრდილოეთიდანაც იმდენი დამსვენებელი ჩამოდის, რომ სასტუმროები და ბაზები ვერ აუდიან მათს დაბინავებას.

„ბურევესტნიკის" სამთოგამაჯანსაღებელ ბაზაში 220 კაცი ისვენებდა. ისინი საქართველოს ათი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები, მასწავლებლები და თანამშრომლები იყვნენ. ეს ბაზა ბაკურიანში ყველაზე მოხერხებულ ადგილზეა. საბაგირო გზამდე მისვლა 10 წუთის საქმეა. მერე 11 წუთიც და უკვე კოხტაგორის წვერზე — 2164 მეტრის სიმაღლეზე ხარ.

კოხტაგორა: სახელი ზუსტად გამოხატავს შინაარსს. ამისთანა კოხტა მთა და კარგი გადასახედი სხვაგან სად არის? ამიტომაც იტყვიან, ალბათ, ვინც კოხტაგორაზე არ ასულა, მას ბაკურიანი არ უნახავსო.

ბედნიერია კაცი, ვინც სამთოსათხილამურო სპორტი ბავშვობიდან შეიყვარა, ვისაც კოხტაგორიდან თხილამურებით დაშვება შეუძლია...

სამწუხაროდ, ასეთი ბედნიერი ჩვენში არც ისე ბევრია. კოხტაგორიდან თხილამურებით დაშვება მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. დამსვენებელთა უმეტესობა ისევ საბაგირო გზით ან ფეხით ეშვება უკან და სხვათა ცქერით კმაყოფილდება.

გულკეთილი ბაკურიანელები კოხტაგორაზე დგანან და ყოველ ამოსულს უხსნიან, სად რომელი ქედი და ხეობაა. სტუდენტური არდადეგების დროს გიდებს ძნელი დღეები ჰქონდათ: იალბუზიდან მოყოლებული მყინვარწვერამდე ყველა მთავარი მწვერვალი ჩანდა!

ზოგს ესეც ეცოტავებოდა. ისინი კოხტაგორის მთიდან პირდაპირ ცხრაწყაროზე გადადიოდნენ, საიდანაც სამხრეთი კავკასიონიც კარგად ჩანს. რა თქმა უნდა, ასეთ თოვლში ამას ყველა ვერ ბედავდა — ეს მამაცები თბილისის უნივერსიტეტის მთასვლური სექციის წევრები იყვნენ, რომლებიც წლეულს პამირის დასალაშქრად ემზადებიან.

„ბურევესტნიკში" ძალიან პოპულარული იყო ციგაობა. საბაგირო გზის სადგურიდან 500-600-მეტრიან დაღმართში მეტეორივით ქროდნენ მოციგავეთა კოლონები.

და მაინც, აქ მთავარი და დაუვიწყარი „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს შეჯიბრება იყო. პირველობისთვის 8 უმაღლესი სასწავლებლის 100 სტუდენტი იბრძოდა.

უნივერსიტეტიდან განსაკუთრებით ისახელეს თავი მოთხილამურე ქალებმა თ. ნაკანმა და ლ. ხეცურიანმა. უნივერსიტეტელი ვაჟების შედეგები ქალთა მაჩვენებლებთან შედარებით უფერული ჩანდა. 10-კილომეტრიან რბოლაში და გიგანტურ სლალომში მათ საპრიზო ადგილები ვერ მოიპოვეს. ათკილომეტრიან ტრასაზე პირველი იყო ცხინვალელი ი. ქუმარიტოვი.

გიგანტურ სლალომში პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენელმა ა. მიქაბერიძემ იმარჯვა.

გაიმართა ესტაფეტებიც. უნივერსიტეტის ქალებმა კვლავ პირველობა დაისაკუთრეს, ხოლო ვაჟებმა II ადგილი დაიკავეს. ვაჟთა შორის ჩემპიონი გახდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი, ხოლო ქალთა შორის II ადგილი წილად ხვდათ სამედიცინო ინსტიტუტის სპორტსმენებს.

მსაჯებმა შეაჯამეს შეჯიბრების შედეგები და დამსწრეთა ტაშის გრიალში გამოაცხადეს ჩემპიონები. საპატიო სიგელებით დააჯილდოვეს გამარჯვებულნი. საერთო გუნდური I ადგილი და გარდამავალი თასი მიეკუთვნა უნივერსიტეტის გუნდს, II ადგილზე გავიდნენ პოლიტექნიკური, III — გორის პედაგოგიური ინსტიტუტების წარმომადგენლები.

მოთხილამურეები და მთამსვლელები მშობლიურ სასწავლებლებს დაუბრუნდნენ, მაგრამ ბაზაში ცხოვრება გრძელდება — დამსვენებელთა ახალი ნაკადი მოვიდა.

გ. მანია.

ბაკურიანი.

## ახალი ამბები

● პარიზი, 15 თებერვალი. ჟან დამის მემორიალში მონაწილეობის მისაღებად აქ ჩამოვიდნენ საბჭოთა ძალოსნები, რომელთაც სათავეში პლანეტის უღონიერესი ადამიანი ვ. ალექსეევი უდგას. ეს მათი პირველი დიდი შეჯიბრებაა წლეულს. ორლის აეროპორტში საბჭოთა კავშირის სპორტსმენებს (აქ იყვნენ, აგრეთვე, მსოფლიოსა და სსრ კავშირის რეკორდსმენები დ. შანიძე, გ. ივანჩენკო, დ. რიგერტი, ი. ტალტსი) გულთბილად შეხვდნენ საფრანგეთის ძალოსნობის ფედერაციის თავმჯდომარე რ. ტურნიე და სპორტული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. ჟ. დამის მეორე მემორიალი, როგორც ჩანს, საინტერესო იქნება. ფიცარნაგზე გამოვლენ საქვეყნოდ სახელგანთქმული ათლეტები ზ. კაჩმარეკი, ვ. ბაშანოვსკი (ორივე — პოლონეთი), ს. რედინგი (ბელგია), აგრეთვე, იტალიის, საბერძნეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სხვა ქვეყნების ცნობილი ძალოსნები.

● ტალინი, 15 თებერვალი. ასუჯრიან შაშში მსოფლიო პირველობაზე ა. ანდრეიკო (რიგა) — ი. კუპერმანის (კიევი) მატჩის XVII პარტიაც ყაიმით დამთავრდა. ანგარიში გახდა 8,5:8,5.

◆ ნიკშიჩი (იუგოსლავია), 16 თებერვალი. იუგოსლავიაში გამართულ მეორე ამხანაგურ მატჩში სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები ფრეს დასჯერდა: მისმა აქ შემდგარმა შეხვედრამ „სუტიესკასთან" ვერც ერთ გუნდს ვერ მოუტანა წარმატება — 1:1.

◆ მაინის ფრანკფურტი, 16 თებერვალი. სსრ კავშირის ჩემპიონმა — კიევის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდმა აქ „აინტრახტს" სძლია — 2:0. დასავლეთგერმანელთა კარში ორივე ბურთი გაიტანა პუზაჩმა (მე-15 და 76-ე წუთებზე).

ოლიმპიური ნაკრების კანდიდატები

# ყველაზე საპატიო სახელი

— ვფიქრობ, სპორტსმენისთვის ყველაზე საპატიო ოლიმპიური ჩემპიონის სახელია. მსოფლიო ჩემპიონატი ოლიმპიურ თამაშებზე ნაკლები ასპარეზობა როდია, მაგრამ კაცს თუ საამისო უნარი აქვს, ამ შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლებას მუდამ მოიპოვებს, ოლიმპიადები კი ოთხ წელიწადში ერთხელ ეწყობა. ამიტომ ოლიმპიური საგზურის დასაკუთრება, ჩემი აზრით, ოქროს მოპოვებაზე არანაკლებ ძნელია, — გვითხრა სსრ კავშირის მესტენდურეთა ოლიმპიური ნაკრების კანდიდატმა, თბილისის სამტრესტის ლიქიორის ქარხნის კუპაჟორმა ტარიელ ჟღენტმა მოსკოვში ოლიმპიელთა საწვრთნელ ვარჯიშზე წასვლის წინ.

ცნობილ სპორტსმენს იმისთვის ვესტუმრეთ, რომ გვეკითხა როგორ ემზადება მიუნხენის XX ოლიმპიადისთვის, გაგვეგო მისი სამერმისო გეგმები. ტარიელი სიტყვაძუნწია, როცა საქმე მის წარმატებებს ეხება: თავის ქება არ უყვარს. ამიტომ ხშირად ჟღენტის მიღწევებზე ლაპარაკი მხოლოდ ტურნირების ოქმების, საბჭოთა თუ საზღვარგარეთის პრესაში გამოქვეყნებული მასალების ან სპორტსმენის მწვრთნელის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ ზ. მაჩხანელის მიერ მოწოდებული ცნობებით გვეხდება.

ახლაც ასე იყო. მწვრთნელი და სპორტსმენი საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტში მოვიხელთეთ. მოსკოვში გაფრენამდე რამდენიმე საათი რჩებოდა და საუბარი არ გამოვიდა. მაგრამ ტარიელმა რამდენიმე სიტყვა მაინც გვითხრა თამაშებისთვის მზადებაზე, თავის იმედებზე, მომავლის გეგმებზე. ამ ნათქვამით სასტენდო სროლისა და საერთოდ სპორტის მოყვარულებს მოკლედ მაინც შეიძლება ვუამბოთ, რა გააკეთა ჟღენტმა ბოლონიის (იტალია) გარეუბნის კასალეჩიო დი რენოს სტენდზე გამართული მსოფლიო ჩემპიონატიდან დაბრუნების შემდეგ.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ღვინის ტექნოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების (1971 წ.) შემდეგ ტარიელს თითქოს თავისი სპეციალობისთვის შესაფერი სამსახური უნდა მოეძებნა, მაგრამ ოლიმპიური ნაკრების კანდიდატის სახელიც ბევრს ავალებდა. ამიტომ მან გუნდის ინტერესები უფრო წინ დააყენა, მით უმეტეს, რომ მიუნხენის სარბიელზე წარმატებით ასპარეზობა რესპუბლიკის სახელის დაცვაც გახლავთ.

სსრ კავშირის ათასობით მესტენდურეში მრგვალ სტენდზე საასპარეზოდ ქვეყნის ნაკრების ოთხი კანდიდატი შეარჩიეს. სვერდლოვსკელებთან — ი. ცურანოვთან და გ. სედინკინთან, მოსკოველ ე. პეტროვთან ერთად ვარჯიში საიმედოცაა და სასახელოც. ეს ის კვარტეტია, რომელიც იტალიაში მსოფლიო ჩემპიონი გახდა გუნდურ ჩათვლაში, მაგრამ მიუნხენში ოთხივეს როდი მოუწევს წასვლა: XX ოლიმპიადის სარბიელზე ყველა ქვეყანას 2-2 მესტენდურის გამოყვანის უფლება ეძლევა. მაშასადამე, საბჭოთა ოთხეულიდან რომელიღაც ორი შინ დარჩება. ამიტომ...

— ჩემი უმთავრესი ამოცანა ის არის, რომ სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები გუნდის წევრი გავხდე. საამისოდ დიდი ბრძოლის გადატანა მომიწევს. აგვისტომდე სულ ცოტა ხუთ დიდ ტურნირში უნდა ვცადოთ ძალა და თამაშების ორი საგზურიც ამ ტურნირების შედეგების მიხედვით გაგვინაწილოთ. მიუნხენში წავა ის დუეტი, რომელიც ყველაზე მეტ მომგებიან ქულას დააგროვებს.

— სად გაიმართება ეს შეჯიბრებები?

— ოლიმპიელებს პირველად სსრ კავშირის თასისთვის ბრძოლაში მოგვიწევს ჩაბმა. ტურნირი აპრილში ტაშკენტშია დაგეგმილი. მერე რუმინელებთან შეჯიბრება გველის, უფრო გვიან კი იტალიელებთან შეხვედრა... ასე რომ, ყოველგვარი შემთხვევითობა გამორიცხული იქნება.

— რას აქცევდით მთავარ ყურადღებას წვრთნის განვლილ ეტაპზე?

— მსოფლიო ჩემპიონატიდან დაბრუნების შემდეგ „შვებულება" მივიღეთ, ცოტა ხანს დავისვენეთ და შემდეგ ერთიანი საკავშირო გეგმით საერთო ფიზიკურ მომზადებაში შევუდექით ვარჯიშს. რა თქმა უნდა, ეს სამუშაოდან თავისუფალ დროს ხდებოდა. უფრო მოგვიანებით ოლიმპიელები, ასე ვთქვათ, ანგარიშების ჩასაბარებლად ცოტა ხნით წახკაძორში შევიკრიბეთ, მერე ისევ ჩვენს ქალაქებს დავუბრუნდით. მე თბილისში მაჩხანელის მეთვალყურეობით საერთო ფიზიკურ მომზადებაში ვარჯიშს არ ვწყვეტდი, ვინაიდან ამას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ.


ეროვნული ბიბლიოთეკა

— როდის შეუდგებით სპეციალურ ვარჯიშს?

— მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ. სპეციალური ვარჯიში ყველაზე მეტად მაღელვებს. მიუნხენის ოლიმპიადისთვის მოსამზადებლად ახალი თოფი მომცეს. თოფის შეგუება და მისი მორგება კი საკმაოდ შრომატევადი საქმეა, ამიტომაც განზრახული გვაქვს სპეციალური წვრთნისთვის განკუთვნილი დრო გავზარდოთ.

როგორც საუბარში გამოირკვა, სსრ კავშირის მესტენდურეთა გუნდი საბოლოოდ ოლიმპიადის დაწყებამდე ერთი თვით ადრე დაკომპლექტდება. მანამდე დიდი დროა. ტარიელ ჟღენტი და მისი მწვრთნელი ძალ-ღონეს არ დაზოგავენ, რომ მიუნხენში ქართველი მესტენდურეც გამოვიდეს.

ო. გელაშვილი.

• • •

სურათზე: ტ. ჟღენტი.
ავტორის ფოტო.



ჩვენს მოძმე რესპუბლიკებში

• •

## ტურისტთა დიდი სახლი

იმიერპოლარეთის ტუნდრის ცენტრში — მეტალურგთა ახალგაზრდა ქალაქ მონჩეგორსკში აშენდა ქვეყნის ჩრდილოეთში ყველაზე დიდი სასტუმრო ტურისტებისთვის. იგი ამ მეტისმეტად წარმტაცი ქალაქის ცენტრალურ მოედანზე მდებარეობს. სიმბოლურია, რომ ტურისტული ბილიკები აქედან — ლენინის მოედნიდან დაიწყება, სადაც მალე დაიდგმება იმიერპოლარეთის პირველდამპყრობთა ძეგლი — მათ ხომ გაუვალ ტუნდრაში აღმართეს ეს ლამაზი ქალაქი და გიგანტური მეტალურგიული კომბინატი „სევერონიკელი".

მონჩეგორსკი.

[illegible]

## მძლეოსანთა სტარტები

ტრჟინეცი, 16 თებერვალი. ჩეხოსლოვაკიის ამ პატარა ქალაქის დარბაზში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში სიმაღლეზე ხტომა მოიგო ლენინგრადელმა ი. ტარმაკმა — 216 სმ. II ადგილი დაიკავა ბრიანსკელმა ვ. კოზლოვმა — 213 სმ. ასეთივე სიმაღლე დაძლია ფ. დოჩიმ (უნგრეთი), მაგრამ მას მეტი ცდა ჰქონდა. ქალთა შორის პირველი იყო იუგოსლაველი ბ. ბობოშეკი — 178 სმ.

ბერლინი, 16 თებერვალი. გდრ-ის მძლეოსნებმა „დინამოს" დარბაზში გაითამაშეს ზამთრის პირველობა. ჭოკით ხტომაში წლეულს მსოფლიოს დარბაზებში საუკეთესო შედეგს (530 სმ) მიაღწია ვ. ნორდვიგმა. 510 სმ დაძლიეს კ. პრიგელმა და ვ. რაინჰარდტმა. 3000-მეტრიანი მანძილი ორმა სპორტსმენმა დაფარა 8 წუთზე უკეთეს დროში: ვ. შოლცი — 7.56,2 და ფ. აიზენბერგი — 7.58,8.

ბუქარესტი, 16 თებერვალი. სამხტომში ევროპელი „17-მეტრიანელის" კლუბის ერთ-ერთმა წევრმა კ. კორბუმ რუმინეთის ზამთრის პირველობაში 16,92 მ აჩვენა. ეს ნახტომი ჯერჯერობით საუკეთესოა წლეულს მსოფლიოს დარბაზებისთვის. კორბუმ სიგრძეზე ხტომაშიც აჯობა ყველას — 792 სმ. ქალთა შორის იმარჯვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვ. ვისკოპოლეანუმ — 640 სმ.

# ქართული ჭიდაობის ქრონიკა

*ცნობილია, რომ სახელგანთქმულ ქართველ ფალავანს ნესტორ ესებუას XIX საუკუნის 80-ან წლებში თავისი საჭიდაო ასპარეზი თბილისში ჰქონდა გამართული, ეგრეთ წოდებულ იტალიის ბაღში, რომელიც დღევანდელი პლეხანოვის პროსპექტისა და ჩელიუსკინელების ქუჩის შესაყართან მდებარეობდა.*

*უკვე XX საუკუნის დასაწყისიდან ნ. ესებუა დასავლეთ საქართველოში გადავიდა და შეჯიბრებებს მართავდა ჭიათურაში, ზესტაფონში, სამტრედიაში, ხან კი ისევ აღმოსავლეთ საქართველოს დაბა სურამში. განთქმული ფალავნის სახელი და დიდება სარბიელისკენ ბევრ მოჭიდავეს იზიდავდა.*

*ქვემოთ მოყვანილი ქართული ჭიდაობის ქრონიკებიც სწორედ ამაზე მოგვითხრობენ. ისინი გვაცნობენ, რომელი ფალავანი მონაწილეობდა ასპარეზობაში. ესებუა, ისევე როგორც თავის დროზე კულა გლდანელი, ჭიდაობას თეატრალური სანახაობის ხასიათს აძლევდა. მკითხველი გაეცნობა გამოჩენილ ფალავნებს: ვანო რევიშვილს, მიხეილ ქურხულს, ვასილ ნეფარიძეს, მ. ლიტვინოვს და სხვებს.*

*სამწუხაროდ, ქრონიკებში არ არის დაცული ჭიდაობის აღწერილობა და, რაც მთავარია, შედეგები. მაგრამ დაუჯერებელია, რომ თვით ნ. ესებუას არ ჰქონოდა ისინი. ამიტომაც უდავოდ საინტერესო იქნება ცნობილი ფალავნის არქივის გადასინჯვა, თუ კი იგი გადაურჩა ჟამთა სიავეს.*

ვ. სიდამონიძე.

• •

### ჭიდაობა ჭიათურაში

კვირას, 10 ივნისს და ორშაბათს, 11 ივნისს კავკასიის უძლეველი ფალავანის ნესტორ ესებუას თაოსნობით, ჭიათურაში გაიმართება დიდი საინტერესო ქართული ჭიდაობა. პირველი — იჭიდავებს როსტოველი სამინლად ღონიერი რუსის ფალავანი მ. ლიტვინოვი ლ. ხუსკივაძესთან, გამარჯვებულს 25 მან. მეორე — მიხაკა ქურხული დაეჭიდება საჩხერელ კ. არჯევანიძეს, გამარჯვებულს 15 მან. მესამე — ჭიათურელი ლომიძე დაეჭიდება მ. ვაშაძეს, გამარჯვებულს 10 მან. მეოთხე — ვანო რევიშვილი დაეჭიდება სურამელს. გამარჯვებულს 10 მან. მეხუთე — ილიკო ლაბაძე დაეჭიდება განჯაშვილს, გამარჯვებულს 5 მან.

გამგე: ნესტორ ესებუა.

(გაზ. „ისარი", № 125. 1907 წ.).

### ჭიდაობა ჭიათურაში

კვირას 17 ივნისს, კავკასიის უძლეველი ფალავანის ნ. ესებუას თაოსნობით გაიმართება მეტად საინტერესო ხუთი ჭიდაობა.

პირველი — როსტოველი რუსის ფალავანი მ. ლიტვინოვი და გორელი მოჭიდავე ვასო ნეფარიძე, რომლებმაც იჭიდავეს კვირას, 10 ივნისს, მაგრამ ვერც ერთმა ვერ დასცა და დიდხნის ბრძოლის შემდეგ გაშველდნენ. დღეს, 17 ივნისს, ხელმეორედ იჭიდავებენ ლიტვინოვი და ვ. ნეფარიძე იმ დრომდე, სანამ ერთ-ერთი არ დასცემს კანონიერად. გამარჯვებულს 25 მან. მეორე — ცნობილი მ. ქურგენიძე დაეჭიდება საჩხერელ კ. არჯევანიძეს, გამარჯვებულს 15 მანეთი. მესამე — ვანო რევიშვილი დაეჭიდება ტ. ცისკარიშვილს, გამარჯვებულს 10 მან. მეოთხე — ხ. ღონღაძე დაეჭიდება ნ. ხაჩიძეს, გამარჯვებულს 10 მან. მეხუთე — დ. ნეფარიძე დაეჭიდება დათიკო დეკანოიძეს, გამარჯვებულს 10 მან.

ვიწვევ ყველა კუთხიდან მოჭიდავეებს, გამარჯვებულთათვის დანიშნულია ჯილდოები: 10, 15, 25 და 50.

გამგე: ნესტორ ესებუა.

(გაზ. „ისარი", № 130. 1907 წ.).

### ჭიდაობა დაბა ზესტაფონში

მთავრობის ნებართვით დ. ზესტაფონში, კვირას, 22 ივლისს 1907 წ. კავკასიის უძლეველი ფალავანის ნესტორ ესებუას თაოსნობით გაიმართება დიდი საინტერესო ხუთი ქართული ჭიდაობა. იჭიდავებენ: პირველი — თბილისელი სახელოვანი ფალავანი მიხაკა ქურხული და ხაშურელი ალექსანდრე ხარატი. ამათში გამარჯვებული მიიღებს 25 მან. მეორე — სურამელი ილიკო ლაბაძე და ბელაგორელი დათიკო დეკანოიძე, გამარჯვებულს 15 მან. მესამე — ჭიათურელი ფალავანი ვანო რეხვიაშვილი და ჭალელი მოჭიდავე სერგო ქალიაშვილი, გამარჯვებულს 15 მან. მეოთხე — ზესტაფონელი კ. მურმანიშვილი და შორაპნელი მოჭიდავე გ. ფუტკარაძე, გამარჯვებულს — 10 მან. მეხუთე — ზესტაფონელი კ. ჭიჭინაძე და ვ. კობახიძე; გამარჯვებულს 10 მან.

ჭიდაობა დაიწყება ნაშუადღევის 5 საათზე. ჭიდაობის დროს დაუკრავს ზურნა.

• • •

სწორუპოვარი ფალავანი ნესტორ ესებუა კავკასიის ყოველი კუთხიდან ითხოვს ყველა მსურველ მოჭიდავეებს საჭიდაოდ მისს საკუთარ გამართულ საჭიდაო მოედანზე დაბა ზესტაფონში და დაბა ჭიათურაში. ხოლო საჩუქრები ენიშნებათ გამარჯვებულებს: 25, 50 და 100 მანეთამდე. მსურველთ შეუძლიათ გამოცხადდნენ დანიშნულ ადგილებში ნესტორ ესებუასთან.

(გაზ. „ისარი", № 159. 1907 წ.).

### ჭიდაობა ჭიათურაში

მთავრობის ნებართვით კვირას, 29 ივლისს, 1907 წელს, კავკასიის უძლეველი ფალავანის ნესტორ ესებუას თაოსნობით გაიმართება დიდი საინტერესო ხუთი ჭიდაობა.

პირველი — იჭიდავებენ თბილისში განთქმული ფალავანი ვანო აბულაშვილი, იგივე ქიზიყელი და ხაშურელი ფალავანი ილიკო ლაბაძე, რომლებმაც იჭიდავეს ზესტაფონში კვირას, 15 ივლისს, მაგრამ ვერც ერთმა ვერ დაძლია. მეორე — იჭიდავებენ ცნობილი მოჭიდავე ვანო რევიშვილი და პეტრე ბუხნიკაშვილი: გამარჯვებულს 15 მან. მესამე — იჭიდავებენ დათიკო დეკანოიძე და ჭალელი სერგო ქალიაშვილი, გამარჯვებულს 15 მანეთი. მეოთხე — მურმანიშვილი დაეჭიდება შორაპნელ მ. ჭიჭინაძეს, გამარჯვებულს 10 მანეთი, მეხუთე — იჭიდავებენ ბ. იმედაძე და ნ. ხაჩიძე, გამარჯვებულს 10 მან.

ჭიდაობა დაიწყება ნაშუადღევის 4 საათზე. ჭიდაობის დროს დაუკრავს ზურნა.

(გაზ. „ისარი", № 168. 1907 წ.).

### ჭიდაობა დაბა სურამში

მთავრობის ნებართვით დაბა სურამში კვირას, 12 აგვისტოს, 1907 წელს კავკასიის უძლეველი ფალავანი ნესტორ ესებუას თაოსნობით გაიმართება ფრიად საინტერესო ჭიდაობა.

პირველი იჭიდავებენ სახელოვანი ფალავნები: მიხაკა ქურხული და ილიკო ლაბაძე, გამარჯვებულს 25 მან. მეორე — ვანო რევიშვილი დაეჭიდება მეზურნე ქოსა სინის; გამარჯვებულს 15 მან. მესამე — სერგო ქალიაშვილი დაეჭიდება მ. ვაშაძეს, გამარჯვებულს 10 მან. მეოთხე — დათიკო დეკანოიძე დაეჭიდება მ. ვეშაპიძეს; გამარჯვებულს 10 მან. მეხუთე — ს. ტატიშვილი დაეჭიდება ა. ჭიჭინაძეს; გამარჯვებულს 10 მან. მეექვსე — კ. მურმანიშვილი დაეჭიდება ბ. იმედაძეს; გამარჯვებულს 10 მან.

ჭიდაობა დაიწყება ნაშუადღევის 4 საათზე. დაუკრავს ზურნა.

• • •

უძლეველი ფალავანი ნესტორ ესებუა ითხოვს ყველა კუთხიდან მსურველს მოჭიდავეებს საჭიდაოდ როგორც მასთან, ისე მის შეგირდებთანაც შეუძლიანთ გამოცხადდნენ ჭიდაობის გამგე ნ. ესებუასთან და ჩაეწერონ შემდეგი პირობით: ვინც დასცემს ესებუას, ის მიიღებს 100 მანეთს.

ზემოხსენებული პირობა დაუყოვნებლივ სრულდება თავის დროზე ხალხის წინაშე.

გამგე: ნესტორ ესებუა.

(გაზ. „ისარი", № 176. 1907 წ.).

### ჭიდაობა სამტრედიაში

მთავრობის ნებართვით კვირას, 2 სექტემბერს 1907 წელს, კავკასიის უძლეველი ფალავანის ნესტორ ესებუას თაოსნობით გაიმართება ფრიად საინტერესო ხუთი ჭიდაობა.

პირველი იჭიდავებენ: სამტრედიელი უძლეველი ფალავანი ვანო რევიშვილი და ახლად ჩამოსული თათრის ფალავანი მამადი აბდულ-ალი გურგან ბელად ქამანდი მამედოღლი. გამარჯვებული მიიღებს 25 მანეთს. მეორე — იჭიდავებენ თბილისელი სახელოვანი ფალავანი მიხაკა ქურხული და ხაშურელი ცნობილი ფალავანი ილიკო ლაბაძე, გამარჯვებულს 20 მან მესამე — იჭიდავებენ ცნობილი ფალავნები: დათიკო დეკანოიძე და ზაქრო პაპუაშვილი; გამარჯვებულს 15 მან. მეოთხე — იჭიდავებენ კ. ტატიშვილი და პ. ბუხნიკაშვილი; გამარჯვებულს 10 მან. მეხუთე — იჭიდავებენ კ. მურმანიშვილი და ა. ჭიჭინაძე, გამარჯვებულს 10 მან.

ჭიდაობა დაიწყება ნაშუადღევის 4 საათზე. ჭიდაობის დროს დაუკრავს ზურნა. აგრეთვე ორ ენკენისთვეს აბაშის იარმუკაში გაიმართება ორჯელ ჭიდაობა.

გამგე: ნესტორ ესებუა.

(გაზ. „ისარი", № 190. 1907 წ.).

### ჭიდაობა დაბა ზესტაფონში

კვირას, 16 სექტემბერს, 1907 წელს, საინტერესო ოთხი ჭიდაობა:

პირველი — იჭიდავებენ: კავკასიის სწორუპოვარი ფალავანი ნესტორ ესებუა და მაკედონელი საოცრად ღონიერი და მოჭიდავე ბერძნის ფალავანი ნიკოლა ლაპიადო. გამარჯვებული მიიღებს 100 მანეთს. მეორე — იჭიდავებენ: მოსკოველი უძლეველი რუსის ფალავანი ალექსი ბელიკოვი და სამტრედიელი ვანო რევიშვილი; გამარჯვებულს მიეცემა 15 მანეთი, მესამე — იჭიდავებენ: ცნობილი მოჭიდავეები დათიკო დეკანოიძე და ალექსი გაბაძე, გამარჯვებული მიიღებს 15 მანეთს. მეოთხე — იჭიდავებენ: ა. ჭიჭინაძე და დ. ვეშაპიძე; გამარჯვებულს 10 მანეთი.

ჭიდაობა დაიწყება ნაშუადღევის 4 საათზე.

ჭიდაობის გამგე: ხ. ბელაშვილი.

(გაზ. „ისარი", № 262. 1907 წ.).

# მეცნიერები სპორტსმენებთან

„ლელოს“ პრიზზე ბაკურიანში გამართული სამთომოთხილამურეთა ასპარეზობა საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო. აქ, რა თქმა უნდა, წარმატება მხოლოდ ფიზიკურად და ტაქტიკურად კარგად მომზადებულ სპორტსმენებს როდი ხვდათ წილად. უკვე ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ დღეს საკმარისი არაა მხოლოდ მწვრთნელისა და სპორტსმენის შეთანხმებული მუშაობა: სპორტი მეცნიერების კვლევის ობიექტადაა გადაქცეული. ბაკურიანში თავმოყრილი უძლიერესი საბჭოთა სამთომოთხილამურეები არც ამჯერად დარჩენილან ამ მხრივ უყურადღებოდ.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრის პროფესორმა, მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა ვ. ნორაკიძემ, კათედრის დოცენტმა, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა გ. დვალმა, ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებმა — ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ა. არუცევმა, მეცნიერ-მუშაკმა ც. მხეიძემ და ლაბორანტმა ვ. კარაშევამ დიდი და სასარგებლო სამსახური გაუწიეს „ლელოს“ პრიზის გათამაშების მონაწილეებს. ფაქტიურად ეს იყო უწინ დაწყებული დაკვირვებების მორიგი ციკლი. ფსიქოლოგები სწავლობდნენ სპორტსმენთა ფსიქიკის თავისებურებებს, უფარდებდნენ მას სამთოსათხილამურო სპორტის სპეციფიკას. შეჯიბრებების პროცესში წამოჭრილ ობიექტური და სუბიექტური ხასიათის ფაქტორებს, უნერგავდნენ სპორტსმენებს საკუთარი ძალის რწმენას.

როგორც არუცევმა გვითხრა, წვრთნის პროცესში და სპორტულ სარბიელზე სპორტსმენის ორგანიზმი მთელ რიგ ბიოლოგიურ ცვლილებებს განიცდის. მეცნიერთა ამოცანა არა მარტო ამ პროცესის რეგულირება და სხეულის ნორმალური ფუნქციონალური მდგომარეობის შენარჩუნებაა, არამედ მისი მაღალი სპორტული შედეგების მიღწევისკენ წარმართვაა.

მწვრთნელები და სპორტსმენები დიდად კმაყოფილი დარჩნენ საქართველოს მეცნიერთა დახმარებით.

თ. გაჩეჩილაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ბაკურიანი.

ს უ რ ა თ ზ ე: ა. არუცევი ფინიშის შემდეგ აკვირდება სსრ კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი სამთომოთხილამურის, ლენინგრადელი ა. ლეონტიევის ორგანიზმში ნორმალური ფუნქციონალური მდგომარეობის აღდგენის პროცესს.

ავტორის ფოტო.



---

## ◆ კასპი

ქარხანა „კასპელექტროაპარატის“ მოშაშეებმა თავიანთი პირველობა მოაწყვეს. სტარტზე 9 გუნდი გამოვიდა. I ადგილი დაიკავა საამწყობო საამქროს პირველმა გუნდმა. II ადგილი ხვდა ქარხნის ადმინისტრაციის ნაკრებს, III — საამწყობო საამქროს მეორე გუნდს.

ლ. ელისაბედაშვილი.

## ◆ ჩოხატაური

მოსწავლეთა საჭადრაკო პირველობაში რაიონის ყველა საშუალო და რვაწლიანი სკოლის გუნდი მონაწილეობდა. რვაწლიანი სკოლების შეჯიბრებაში გაიმარჯვეს სოფ. ფარცხის ხორჩებმა. საშუალო სკოლებს შორის ჩემპიონობა მოიპოვეს სოფ. ქვენობის წარმომადგენლებმა. პირად ჩათვლაში გოგონებს შორის ჩემპიონი გახდა მ. ჩხიკვაძე, თუმცა ტურნირში იგი II ადგილზეა (I ადგილი დაიკავა უკონკურსო მონაწილემ, ჩოხატაურის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის წარმომადგენელმა ნ. ჩხიკვაძემ). რვაწლიანი სკოლების მოსწავლეთა შორის ჩემპიონები გახდნენ: გოგონებში — ნ. კაკურია, ბიჭებში — შ. თოხაძე.

დ. გურგენიძე.

## ◆ ზესტაფონი

მე-2 საშუალო სკოლაში ჩატარდა საკვალიფიკაციო ტურნირი, რომელშიც 20 მოსწავლე მონაწილეობდა. I ადგილი დაიკავა ზ. თაბაგარმა — 18,5 ქულა, II — გ. ჩიქობავამ — 17, III — ზ. კოპაძემ — 16,5.

• • •

სოფ. ცხრაწყაროს საშუალო სკოლის ნორჩმა მოჭადრაკეებმა ამას წინათ გამართეს ტურნირები, რომლებიც საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიუძღვნეს. 8 გოგონას შეჯიბრებაში გაიმარჯვა ფ. ბახტაძემ — 6,5 ქულა. ჭაბუკთა ტურნირში, რომელშიც 13 მოსწავლე მონაწილეობდა, უძლიერესი იყო გ. ჭუმბაძე. მან ყველა შეხვედრა მოიგო.

• • •

სპორტსკოლის დარბაზში გაიმართა რაიონში საკმაოდ ცნობილი კალათბურთელის ვლადიმერ ლებოვეცის ხსოვნისადმი მიძღვნილი შეჯიბრება, რომელშიც ხაშურის, წყალტუბოს, სამტრედიისა და ზესტაფონის სპორტსკოლების ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ. ვაჟთა შორის I ადგილი დაისაკუთრეს ზესტაფონის ბავშვთა სპორტსკოლის წარმომადგენლებმა. გოგონებში ყველას აჯობეს სამტრედიელმა კალათბურთელებმა.

ა. განუგრავა.

## ◆ ადიგენი

„კოლმეურნის“ რაისაბჭოს მოშაშეთა პირველობაში ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა ს. კაჭკაჭიშვილმა (სოფ. არალის კოლმეურნეობა). II ადგილზეა ე. მაისურაძე („საქსოფლტექნიკა“), III — გ. მერაბიშვილი (სოფ. უდის კოლმეურნეობა).

ნ. მამულაშვილი.

## ◆ ველისციხე

№ 13 სოფლის პროფტექნიკურ სასწავლებელში მოეწყო მოჭადრაკეთა ტურნირი, რომელიც საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა. მასწავლებელთა შორის I ადგილი დაიკავა სასწავლო მეურნეობის აგრონომმა ბ. ოღლიშვილმა. II ადგილზეა საწარმოო სწავლების ოსტატი გ. სირბილაშვილი, III — საწარმოო სწავლების ოსტატი ა. ჩეკურიშვილი. მოსწავლეთა შორის პირველი სამი ადგილი ასე განაწილდა: გ. პეტრიაშვილი, გ. მჭედლიშვილი, მ. ჯაშიაშვილი.

ა. ჯალაღონია,
სასწავლებლის ფიზკულტურის ხელმძღვანელი.

---

## დინამოელი რეგბისტები ემზადებიან

შარშანდელი სპორტული სეზონი თბილისის „დინამოს“ რეგბისტთა გუნდისთვის უიღბლო გამოდგა: საკავშირო პირველობის ფინალში, რომელიც ქუთაისში გაიმართა, მან უკანასკნელი ადგილი დაიკავა და უმაღლეს ლიგას დაემშვიდობა.

წლევანდელი სეზონისთვის მზადებას კოლექტივი უკვე შეუდგა.

— ჩვენი მთავარი მიზანია უმაღლეს ლიგაში დაბრუნება, — გვითხრა გუნდის უფროსმა მწვრთნელმა გივი მრელაშვილმა. — კოლექტივის ყოველი წევრი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება ამ ამოცანის შესრულებას. უკვე დავიწყეთ სისტემატური წვრთნა. ჯერჯერობით მთავარი ყურადღება ეთმობა საერთო ფიზიკურ მომზადებას. გუნდის ბირთვს წარმოადგენენ კიზირია (მოთამაშე-მწვრთნელი), ბუგიანაშვილი, თოფურიძე, ნ. და გ. აბაშიძეები, კაშელავა, კეთილაძე, აკოფოვი, ზამიჩკინი. ისინი სამაგალითონი არიან ახალგაზრდებისთვისაც, რომელთა შორისაც გამოირჩევიან ქარქუსაშვილი, ეკალაძე, ცინცაძე.

გუნდის შემადგენლობაში მოხდა ცვლილებებიც: „ლოკომოტივში“ გადავიდნენ რეხვიაშვილი და მირონოვი, ჩვენს კოლექტივში კი მოვიდნენ კიკალეიშვილი „სპარტაკიდან“, გორგოძე და შუანდერი „ლოკომოტივიდან“. თბილისის „დინამოს“ რეგბისტები გულმოდგინედ ივარჯიშებენ, რათა გულშემატკივართა იმედები გაამართლონ

თ. წიკლაური.

---

## სსრ კავშირის ჩემპიონატი



## არმიელებს გაუჭირდათ

მოსკოვი. გუშინწინ გამართულ მაჭში სსრ კავშირის ჩემპიონ ცსკა-ს გაუჭირდა კიევის „სტროიტელის“ დამარცხება — 75:70 (35:42).

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 16 თებერვლისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ (ლენინგრადი) | 11 | 11 | 0 | 777—680 | 11 |
| ცსკა | 12 | 11 | 1 | 1024—816 | 11 |
| „ჟალგირისი“ (კაუნასი) | 13 | 7 | 6 | 1013—980 | 7 |
| „სტროიტელი“ (კიევი) | 11 | 6 | 5 | 786—728 | 6 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 10 | 5 | 5 | 780—774 | 5 |
| „კალევი“ (ტარტუ) | 10 | 5 | 5 | 711—715 | 5 |
| „დინამო“ (თბილისი) | 11 | 4 | 7 | 807—878 | 4 |
| ასკ (კიევი) | 11 | 3 | 8 | 731—825 | 3 |
| „ბურევესტნიკი“ (თბილისი) | 11 | 3 | 8 | 756—832 | 3 |
| „სტატიბა“ (ვილნიუსი) | 10 | 0 | 10 | 676—848 | 0 |

---

# დასკვნითი ტურის წინ

მოსკოვში დასასრულს უახლოვდება ფრენბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის მატჩები.

გუშინწინ გამართულ ბოლოსწინა ტურში მორიგი წარმატება იზეიმეს ლიდერებმა — ცსკა-ს ფრენბურთელებმა, რომლებმაც „მშრალი“ ანგარიშით (3:0) დაამარცხეს კრასნოდარის „დინამო“. ბაქოს „ნევთჩიმ“ ასეთივე ანგარიშით მოუგო უმაღლესი ლიგის დებიუტანტს — ტაშკენტის „ავტომობილისტს“. მოსკოვის „დინამომ“ სძლია ლენინგრადის „ბურევესტნიკს“ — 3:1. მოსკოვის „ლოკომოტივმა“ ასეთივე ანგარიშით მოუგო შეხვედრა ოდესის „ბურევესტნიკს“.

ბოლო ტურის წინ კვლავ ლიდერობს სამი გუნდი — ცსკა, მოსკოვის „დინამო“ და ბაქოს „ნევთჩი“, რომლებსაც 13 შესაძლებლიდან 10-10 ქულა აქვთ.

გუშინ ეს სამეული დაირღვეოდა, ვინაიდან ერთმანეთს შეხვდნენ ცსკა და „ნევთჩი“.

ფრენბურთი

# იუბილეს ეძღვნება

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტულ დარბაზში მიმდინარეობს თბილისის პირველობა ფრენბურთში, რომელიც საბჭოთა საქართველოს 51-ე წლისთავს ეძღვნება. ტურნირში მონაწილეობს ვაჟთა და ქალთა 6-6 გუნდი.

სამი ტურის შემდეგ ქალთა შორის დაწინაურდნენ თბილისის განათლების განყოფილების პირველი გუნდის წარმომადგენლები. მათ მოუგეს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენებს (3:1), შემდეგ დაამარცხეს მწვრთნელთა სკოლის გუნდი (3:0), ბოლოს კი პედაგოგიური ინსტიტუტის ფრენბურთელებს სძლიეს — 3:2.

ვაჟები ორ ჯგუფად არიან დაყოფილი. ჯგუფებში გამარჯვებულები დედაქალაქის ჩემპიონის წოდებას შეეცილებიან ერთმანეთს. პირველ ჯგუფში გამარჯვებული უკვე გამოვლინდა: ესაა თბილისის განათლების განყოფილების გუნდი, რომელმაც ერთნაირი ანგარიშით (3:0) მოუგო „დინამოს“ და მწვრთნელთა სკოლის წარმომადგენლებს. მეორე ჯგუფში მხოლოდ ორი შეხვედრა გაიმართა: ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა სძლია „ლოკომოტივს“, ხოლო ამ უკანასკნელმა დაამარცხა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის წარმომადგენლები.

პ. თორდია.

---

# რესპუბლიკური შეჯიბრების საგზურებისთვის

ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში დაიწყო თბილისის კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა უძლიერესი გუნდების შესარჩევი ტურნირი ზამთრის რესპუბლიკური შეჯიბრების საგზურებისთვის. ბრძოლაში ჩაება ქალთა და ვაჟთა 7-7 გუნდი.

ქალთა გუნდებს შორის ლიდერობენ უნივერსიტეტის კალათბურთელები, რომლებმაც ორი შეხვედრა მოიგეს. ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდს მათ მატჩის ბოლო წამებზე გამოგლიჯეს ხელიდან გამარჯვება — 70:68 (45:39), მეორე შეხვედრაში კი დაამარცხეს თავიანთი ტრადიციული მეტოქეები — „უშბის“ კალათბურთელები — 60:58 (27:28). ამ მატჩში სტუდენტთა შორის თავი ისახელა ი. ახრახაძემ, რომელმაც გუნდს 20 ქულა მოუტანა.

დაძაბულია შეხვედრები ვაჟთა ტურნირში. აქ ჯერჯერობით ორი ლიდერი ჩანს — უნივერსიტეტი და „სინათლე“. სტუდენტებმა მოუგეს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდს — 88:81 (38:39) და „ლოკომოტივს“ — 66:59 (37:22). „სინათლემ“ დაამარცხა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის წარმომადგენლები — 80:55 (40:27) და თბილისის განათლების განყოფილების ჭაბუკი კალათბურთელები — 63:47 (37:22).

ფ. ლეონიძე.

კალათბურთი

# არა არს რა მარადიული!



ჭეშმარიტად, ამ ქვეყანად არა არს რა მარადიული! ჯერ სრულიად ხელუხლებელი, უმანკო სიჭაბუკეც ბერდება, აწოროუპოვარი დიდებაც იფერფლება და თვით ყოვლისშემძლე ღმერთებიც კი გადიან ტირაჟიდან.

ასეთია სამყაროს კანონი, რომლის ძალა საფეხბურთო ცხოვრებაშიც ცხადად იგრძნობა. გუშინდელი დღით აქ ვერავინ იცხოვრებს, ან უფრო სწორად — არავინ გაცხოვრებს. წამიერი შეფერხება, „განვლილ მასალაზე" პატარა შეყოვნებაც კი საკმარისია, რომ უწინდელი ფავორიტი დაემხოს ერთხელ და სამუდამოდ, ან, უკეთეს შემთხვევაში, საკმაოდ დიდი ხნით.

საამისო მაგალითი მრავალზე მრავალი იცის საერთაშორისო ფეხბურთმა. აქ რამდენსაც გნებავთ შეხვდებით გუშინდელ ლიდერებს, რომლებიც სხვათა და სხვათა მიზეზთა გამო ჩამორჩნენ „ქარავანს" და, რახან ერთხელ ჩამორჩნენ მას, ველარა და ვერ იგდეს ხელთ ინიციატივა, ველარ დააღწიეს თავი არიერგარდს. ასეთთა შორის შეგვიძლია მოვიხსენიოთ მადრიდის „რეალი", მილანის „ინტერნაციონალე", საფრანგეთის „რეიმსი", ლისაბონის „ბენფიკა", ინგლისის „ტოტენჰემ ჰოტსპური", უნგრეთის „ფერენცვაროში" და „ვაშაში", ავსტრიის „რაპიდი" და სხვანი და სხვანი, რომლებიც საგრძნობლად გაუფასურდნენ საერთაშორისო სარბიელზე და უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ ეროვნული მასშტაბით თუ ინარჩუნებენ ხეირიან პოზიციებს.

ასეთი დამხობილი კერპების რიცხვში ვხვდებით ბრაზილიის ქალაქ სანტოსის პელეს განოქმულ კლუბს „სანტოსს", გუნდს, რომელიც დიდი ხნის მანძილზე უცვლელ ეტალონს წარმოადგენდა თანამედროვე უმაღლეს ფეხბურთში. არც ერთ საკლუბო გუნდს არ ჰქონია მსოფლიოში ისეთი სახელი, ავტორიტეტი და, მასთან ერთად, შემოსავალიც, როგორიც „სანტოსს". ახლა კი პელეს გუნდი სულს ლაფავს.

სანამ „სანტოსის" მძიმე კრიზისს და დღევანდელ არასახარბიელო მდგომარეობას შევეხებოდეთ, ზედმეტი არ იქნებოდა გადაგვეთვალიერებინა ამ ოდესღაც დიდებული კლუბის „შრომის წიგნაკი", მისი პასპორტი, გაგვეხსენებინა მისი ტრიუმფის წლები.

„სანტოსს" ბინა აქვს ბრაზილიის შტატ სან-პაულუს ქალაქ სანტოსში (იგივე სანტუს, რაც პირდაპირი მნიშვნელობით წმინდანებს ნიშნავს). ესაა საპორტო ქალაქი ატლანტის ოკეანის სანაპიროზე, დაახლოებით 350 ათასი მცხოვრებით. კლუბის სრული სახელწოდებაა „სანტოს ფუტბოლ კლუბ", ჩამოყალიბებულია 1912 წელს. კლუბის სტადიონი „ვილა ბელმირო" სულ 40 ათას ადგილს ითვლის, ამიტომ „სანტოსი" დიდმნიშვნელოვან მატჩებს „პაკაემბუს" სტადიონზე ატარებს, იქ კი 100 ათასი მაყურებელი ეტევა.

50-ანი წლების მიწურულს და 60-ანი წლების დამდეგს „სანტოსი" ბრაზილიის, სამხრეთ ამერიკისა და მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი კლუბი გახლდათ. იგი 11-ჯერ იყო თავისი შტატის ჩემპიონი, ზედიზედ აქვს მოგებული რიო-დე-ჟანეიროსა და სან-პაულუს საუკეთესო გუნდების ტრადიციული ტურნირი (გომეს პედროზის თასი), 5-ჯერ დაისაკუთრა ბრაზილიის თასი. 1962 და 1963 წლებში „სანტოსმა" მოიპოვა სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასი და ამავე წლებში იყო უმაღლესი საკლუბო პრიზის—საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი. მსოფლიოს უძლიერესმა საკლუბო გუნდმა ფინალში პირველად დაამარცხა პორტუგალიის „ბენფიკა", ხოლო მეორედ — იტალიის „მილანი".

„სანტოსის" დიდება მთლიანად დაკავშირებულია ბრწყინვალე ფეხბურთელის—პელეს სახელთან. პელე იყო და არის ამ კლუბის დროშა, მისი ფარი და მახვილი, მაგრამ პელეს გარდა „სანტოსში" თამაშობდნენ სხვა ექსტრა-კლასის ფეხბურთელებიც: ჟილმარი, ზიტო, ორლანდო, მაურო, კუტინიო, პაგაო, პეპე, დორვალი, ბენგალვიო, კ. ალბერტო...

კლუბის წარმატებებს დიდად შეუწყო ხელი გამოჩენილმა მწვრთნელმა ლ. ალონსომ, მეტსახელად ლულუმ, რომელიც 12 წელიწადს ედგა სათავეში გუნდს. შემდგომში ლულუ შეცვალეს მისივე თანამემწით—ანტონინიოთი და ახლა, როცა საქმეები აირია, ანტონინიოსაც „სთხოვეს" დაეტოვებინა მწვრთნელის პოსტი წარსულში განთქმული ფეხბურთელის მაუროს სანაცვლოდ.



ეს უმაღლესი ტიტულები თავისთავად განსაზღვრავდნენ „სანტოსის" უდიდეს პრესტიჟს თანამედროვე ფეხბურთში. ამერიკის, ევროპისა თუ აფრიკის სახელმწიფოთა ფედერაციები არ ერიდებოდნენ არავითარ ხარჯს, წლობით იდგნენ რიგში, მოთხოვნას მოთხოვნაზე აგზავნიდნენ ბრაზილიაში ოღონდ ერთი მატჩით მაინც მიეღოთ თავიანთ მინდორზე პელეს გუნდი. „სანტოსი" გაუგონარ, პირდაპირ სპეკულანტურ თანხებს ითხოვდა საგასტროლო მატჩებისთვის, მაგრამ ეს არავის აშინებდა: ხარჯები რას მიქვია, პელე თამაშობს, რა ფასიც გინდა დაადე ბილეთს, მაყურებელი მაინც კისრისტეხით მოვა სტადიონზე, ღამეს გაათევს საბილეთო სალაროსთან, ეს შეუდარებელი სანახაობა რომ არ გამორჩეს.

აი, ამ გასტროლებმა დაღუპა ბოლოს და ბოლოს „სანტოსი". კლუბის დირექტორატი არ ერიდებოდა არც თავის მოთამაშეებს, არც მწვრთნელებს: ცხრა მთას იქით ისე გააგზავნიდა თავის გუნდს, თვალს არ დაახამხამებდა. ფეხბურთელებს გაუგონარი დატვირთვა აწვათ, მატჩს მატჩზე ატარებდნენ შეუსვენებლივ და, რახან ყოველ კონტრაქტში საგანგებო პუნქტად იყო აღნიშნული პელეს სავალდებულო მონაწილეობა თამაშში, „ფეხბურთის მეფეს" ფაქტიურად კატორღული სამუშაოს შესრულება უხდებოდა. არაადამიანური დატვირთვისგან, ურიცხვი ტრავმისგან პელე ძლივსღა დაათრევდა ფეხებს, მხედველობის მდგომარეობა კატასტროფული ჰქონდა, კლუბის პრეზიდენტი კი ამ დროს ახალ-ახალ კონტრაქტებს აწერდა ხელს. უკეთეს მდგომარეობაში არც სხვა ფეხბურთელები იყვნენ, თუმცა პელესგან განსხვავებით მათ დროდადრო აძლევდნენ „სულის მოთქმის" საშუალებას.

ყოველ საფეხბურთო კოლექტივს, რომელი კატეგორიისაც უნდა იყოს იგი, აქვს კონკრეტული გეგმა. ეს გეგმა ითვალისწინებს მზადების სხვადასხვა ეტაპს, შეჯიბრებათა ციკლს და, რა თქმა უნდა, დასვენებასაც. ეს უკანასკნელი პუნქტი — დასვენება—„სანტოსში" არავის ახსოვდა. მატჩები, მატჩები, მატჩები — ეს იყო დირექტორატის ერთადერთი საზრუნავი, „სჭედე რკინა, სანამ იგი ცხელია". ასე სჭედდა ამ „რკინას" გუნდის ხელმძღვანელობა, საშემოსავლო ანგარიში ბანკში ყოველდღიურად იზრდებოდა, პელეს და მის მეგობრებს კი წლის განმავლობაში 100-110 უძნელესი მატჩის ჩატარება უხდებოდათ. საგასტროლო მატჩებში ხშირად იყო შემთხვევები, როცა „სანტოსს" ძირითადი კი არა სათადარიგო მოთამაშეებიც აღარ ჰყოფნიდა, გადაქანცული ფეხბურთელები რის ვაინაჩრობით დადიოდნენ მინდორზე, ხოლო გუნდი მთარულ ლაზარეთს ჰგავდა შინ დაბრუნებისას. ვის ჰქონდა ვარჯიშის დრო ან თავი!

„სანტოსის" მწვრთნელმა ფიზიკური მომზადების დარგში ხ. მატეიმ ოფიციალურად განუცხადა კლუბის ხელმძღვანელობას, რომ ამ ჯოჯოხეთური გრაფიკის გამო მოთამაშეებმა სრულიად დაკარგეს სპორტული ფორმა, რომ გადაღლილობის გამო მათ აღარა აქვთ სისწრაფე, გამძლეობა, მოქნილობა და ა. შ. გამოცდილი სპეციალისტის ეს განცხადება ერთ ყურში შეუშვეს და „ტრანზიტით" გაუშვეს მეორეში. მატეი წერს, რომ ერთხელ, წინასწარ გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო, გუნდს მიეცა ხუთდღიანი დასვენების შესაძლებლობა და მოთამაშეებმა იგი ძვირფასი საჩუქარივით მიიღეს.

საფეხბურთო პრაქტიკაში არ არსებობს პრეცედენტი, რომელიმე გუნდს მხოლოდ გამარჯვებათა გზით ევლოს. „სანტოსს" უწინაც ჰქონია კრიზისის პერიოდები, მაგრამ ახლანდელი კრიზისი კატასტროფას მოასწავებს. პელეს არაერთხელ განუცხადებია, რომ „სანტოსის" მოთამაშეთა ათლეტური მომზადების დონე სავალალოა. მას, როგორც პელეს, ათასგვარი არაკით აწყნარებდნენ ხოლმე, სხვებს კი უცერემონიოდ მიერეკებოდნენ აეროპორტში დედამიწის გარშემო ახალი მოგზაურობისთვის.

ბრაზილიაში, როგორც ცნობილია, ახალი სისტემით ტარდება ეროვნული ჩემპიონატი (ყველა ძლიერ გუნდს ერთ ჯგუფში მოუყარეს თავი). ამ შეჯიბრებამ „სანტოსს" ვერ მოუტანა დაფნის გვირგვინი. პელეს გუნდი ერთობ მოკრძალებულ ადგილს დასჯერდა, ამიტომ სავსებით გასაგები და ბუნებრივია ბრაზილიელ გულშემატკივართა შეშფოთება: თუ ახლა ასეა, რა მოუვა „სანტოსს" მაშინ, როცა პელე თავს დაანებებს თამაშს? ეს ხომ, ალბათ, მალე მოხდება?

„სანტოსი" ოდესღაც ბრაზილიის ეროვნული ნაკრების საბაზისო კლუბს წარმოადგენდა, ახლა კი მის მოთამაშეებს აღარავინ ლებულობს მხედველობაში, როცა ე. წ. „სელესაო ბრაზილიერას" ადგენენ. ახალმა მწვრთნელმა მაურომ კლუბის გამგებლობას მოსთხოვა ახალი ფეხბურთელების შეძენა, ვინაიდან გუნდს სასწრაფოდ, ახლავე სჭირდება ახალი ძალები. ამაზე მწვრთნელს უარი სტკიცეს და იქვე წინადადება მისცეს... მოემზადებინა გუნდი მორიგი მგზავრობისთვის ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც „სანტოსი" მაისურებზე ახალი ემბლემით გამოვიდა. ეს იყო „კოკა-კოლას" ფირმის სარეკლამო გამოსახულება.

ბოლო ხანებში ბრაზილიიდან ახალი ცნობები მოდის იმის თაობაზე, რომ „სანტოსის" ხელმძღვანელობა სულ უფრო ღრმად იჭრება ბიზნესის სფეროში. ჩვენს გაზეთშიც იყო გამოქვეყნებული, რომ კლუბი ყიდის რამდენიმე ფეხბურთელს, ხსნის კაზინოს და, საერთოდ, თანდათან სცილდება ნამდვილ ფეხბურთს. ვინ დარჩა გუნდში: დაქანცული პელე, კლოდოალდო და ედუ. დანარჩენები სათვალავში ჩასაგდები არც არიან.

ერთი სიტყვით, თანამედროვე დიდ საერთაშორისო ფეხბურთს, სამწუხაროდ, გამოაკლდა (ვინ იცის, იქნებ სამუდამოდაც) ერთი ბრწყინვალე ვარსკვლავი — ბრაზილიის „სანტოსი".

მიზეზი? ბიზნესი და მხოლოდ ბიზნესი!

გ. ქორქია.

* * *

სურათებზე: „სანტოსი" ერთ-ერთი მატჩის წინ. დგანან — კ. ალბერტო, რ. დელგადო, ჟოელი, კლოდოალდო, კლაუდიო, რილდო; სხედან — უილსონი, ბუგლეიქსი, ტონინო, პელე, ედუ; „სანტოსის" მატჩი პოლონეთის „კადრასთან". კუტინიოს გააქვს გოლი.

## სპასკი და ფიშერი შეთანხმდნენ

ამსტერდამი, 16 თებერვალი. როგორც აქ ცნობილი გახდა, ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე ბ. სპასკისა (სსრ კავშირი) და რ. ფიშერის (აშშ) მატჩი 25 ივნისს დაიწყება ბელგრადში, სადაც პირველი 12 პარტია გათამაშდება.

დანარჩენი 12 პარტია ისლანდიის დედაქალაქ რეიკიავიკში მოეწყობა. (საქ. ინფ.).

## ფეხბურთი

### ინდონეზიაში გაფრინდნენ

როგორც ვიტყობინებოდით, თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებს წინასასეზონო სამზადისის პერიოდში ამხანაგური საერთაშორისო მატჩები აქვთ დაგეგმილი ინდონეზიაში.

გუშინ დინამოელები ინდონეზიაში გაფრინდნენ.

### მატჩი ტყიბულში მოეწყობა

13-22 მაისს ესპანეთის ქალაქებში გაიმართება ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდების ფინალური ტურნირი უეფა-ს თასზე.

სსრ კავშირის ნაკრები ორ შესარჩევ მატჩს ჩაატარებს ბულგარელებთან. ამ შეხვედრებში გამარჯვებული ფინალში ვალენსიის ჯგუფში ითამაშებს.

საბჭოთა ფეხბურთელებს პირველი მატჩი ბულგარეთის ნაკრებთან 25 მარტს ექნებათ. ეს შეხვედრა ტყიბულში მოეწყობა.

### გაიმარჯვა „ზარიამ"

14 თებერვალს სოხუმის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა საწვრთნელი შეხვედრა ვოროშილოვგრადის „ზარიასა" და ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელთა შორის.

მატჩი მოიგო „ზარიამ" — 3:1. ვოროშილოვგრადელთაგან გოლები გაიტანეს კუზნეცოვმა, ონიშჩენკომ და სტარკოვმა, ხოლო „ტორპედოს" მხრივ — შულიამ.

ქუთაისელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: კავაზაშვილი, ჩხაიძე, წვერავა, ჭოხონელიძე, მირონოვი, ოქროპირაშვილი, ჭოლაძე, სილაგაძე, ვეკუა, ხერხაძე (შულია), ზადიკაშვილი (ფრიდმანი).

რედაქტორი მ. ქაქაბაძე

## თბილისის სპორტულ ბაზაზე

სასტენდო სროლა. ვაკე-თილის სასროლეთი. 20 თებერვალი. შეჯიბრება თბილისში სასტენდო სროლაში სეზონის გახსნის პრიზზე. საასპარეზოდ დაიშვება ყველა თანრიგოსანი. საამისოდ მსურველებმა სასროლეთზე მსაჯთა კოლეგიას საკლასიფიკაციო ბილეთი და ექიმის ნებართვა უნდა წარუდგინონ. შეჯიბრების დასაწყისი 11 ს. (სასროლეთზე მისვლა შეიძლება 300 არაგველის მეტროდან № 38 მარშრუტის ავტობუსით).

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 04443